გიორგი ქავთარაძე

„კავკასიის კარიბჭე“ – შუაგულ ამიერკავკასიაში სახელმწიფო სისტემის აღმოცენება/არსებობის განმაპირობებელი ფაქტორი

კავკასიონის მთავარი მთაგრეხილი, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყალგამყოფი სისტემა, ერთმანეთისგან მკვეთრად განყოფს არა მხოლოდ ამიერკავკასიასა და იმიერკავკასიას, არამედ მათ გადაღმა მდებარე ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური ევრაზიის შორეულ სივრცეებს. იგი, უძველესი ხანებიდანვე წარმოადგენდა მომხვდურთათვის გადაულახავ ბარიერს, რომელიც ევრაზიის ნომადებს ახლო აღმოსავლეთ-ხმელთაშუაზღვისპირეთის ცივილიზებული მხარეებისაგან აშორებდა. თუ თავდაპირველად, ქვის ხანის ადამიანების ჯგუფები და მათთან ერთად საკვებწარმოებითი მეურნეობის ტრადიციები სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ ვრცელებოდა, უფრო გვიან, ადრეული ლითონის ხანიდან დაწყებული, ძირითადად ხდებოდა ჩრდილოეთის მომთაბარე-მესაქონლე და, შესაბამისად, უფრო მძლავრი სამხედრო უნარის მქონე ტომების ინვაზია სამხრეთით მდებარე და გაცილებით უფრო განვითარებული და მდიდარი მხარეებისკენ. როგორც ჩანს, იმიერკავკასიელებსა და ამიერკავკასიელებს (ამ ცნებების ფართო, და არა მხოლოდ კავკასიის ფარგლებით შემოსაზღვრული, მნიშვნელობით) შორის კონფლიქტურ ურთიერთდამოკიდებულებაში, პირველს ჩვეულებრივ აგრესორის ფუნქცია ეკისრებოდა. დაპირისპირების ძირითადი მიზეზი ამ მხარეებში განთავსებულ საზოგადოებათა ქონებრივი შესაძლებლობები უნდა ყოფილიყო; შეიძლება ითქვას, რომ მომთაბარე „უპოვრები” თავს ესხმოდნენ ხოლმე „შეძლებულ” ბინადარ მოსახლეობას. სამყაროს ამ ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ თუ ერთმანეთთან დაპირისპირებულ, ნაწილში, ძველთაგანვე, ერთის მხრივ, *terra incognit*a-ს – „უცნობ, შეუცნობად მიწა-წყალს“ ანუ „ბარბაროსთა სამფლობელოს” გულისხმობდნენ, ხოლო მეორეს მხრივ, *ოიკუმენეს* ანუ „კეთილგონიერი ადამიანების“ საუფლოს.

ამრიგად, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სასაზღვრო ფუნქცია საქართველოსა და მთლიანად კავკასიისათვის თვით ბუნების მიერ იყო დაკისრებული. თუმცა, ურთიერთობისა თუ ურთიერთბრძოლის იმანენტური მოთხოვნილება ადამიანებს თითქოსდა გადაულახავ მთაგრეხილებსაც კი გადაალახვინებდა, რაც ძველთაგანვე ძირითადად ზეკარებისა თუ უღელტეხილების მეშვეობით ხდებოდა. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართული გეოსტრატეგიული ვექტორი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ სწორედ აქ, ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში მომხდურების შეღწევისათვის ყველაზე მძლავრი წინაღობის – დიდი კავკასიონის მთაგრეხილის – უღელტეხილებზე დაწოლაში ვლინდებოდა. ჯერ – ადრეული ყორღანული კულტურის მატარებელი მოსახლეობის ცალკეული ნაკადების, შემდეგ კი – კიმერიელებისა და სკვითების, სარმატების, ჰუნების, ალანების, ხაზარების, ოქროს

ურდოს მონღოლებისა და ოსმანთა იმპერიის გადამთიელი მოკავშირეების და ბოლოს – რუსული იმპერიების (რომანოვების, საბჭოურ და თანამედროვე, მოდერნიზებულს) შემოსევებისა და აგრესიის სახით.

რაც შეეხება უფრო სამხრეთით მდებარე ახლოაღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთულ მაღალგანვითარებულ საზოგადოებებს, მათი დაინტერესება ამიერკავკასიით იმთავითვე გარდუვალი იყო, ამ უკანასკნელის მდებარეობის გამო ცივილიზებული და ბარბაროსული სამყაროების შეხების ზონაში, ან უფრო ზუსტად, ამ ორი სამყაროს გამყოფ „რღვევის ხაზზე" *(fault line)*. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ამიერკავკასიის ასეთი მდებარეობა განაპირობებდა მის სივრცეში ისტორიული განვითარების ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოდელის შეჯახებას, კავკასიონის მთავარი ქედის ფაქტორი, რომლის სამხრეთითაც ეს რეგიონი მდებარეობდა, განსაზღვრავდა მის ბედს – ყოფილიყო, მაღალგანვითარებული, ცივილიზებული სამხრეთისა და დასავლეთის ფორპოსტი განვითარების დაბალი ტემპის მქონე, ბარბაროსული ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის წინააღმდეგ.

კავკასიონთან მიმართებაში, კლასიკური ხანაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მთაგრეხილის ცენტრალური ზეკარი – დარიალის კარიბჭე (უფრო გვიან აგრეთვე, მთაგრეხილის აღმოსავლეთ კიდეზე, კასპიის ზღვასთან მდებარე დერბენტის კარიბჭე), რომელსაც თანადროული წერილობით წყაროები ძირითადად „კავკასიისა" თუ „კასპიის კარის" სახელით მოიხსენიებენ. ამ კარიბჭის ადგილმდებარეობის გამორჩეული, საკვანძო მნიშვნელობა ძველი სამყაროს პოლიტიკურ ცხოვრებაში იმთავითვე კარგად იყო ცნობილი. ეს ხატოვნად არის ასახული ახ. წ. I საუკუნის რომაელი მოღვაწისა და მწერლის, პლინიუს უფროსის სიტყვებში, რომ კავკასიის კარიბჭე სამყაროს ორ ნაწილად განყოფდა და კუმანიის ციხესთან (გაიგივებულია ჯვრის უღელტეხილის სამხრეთ კალთაზე მდებარე ქუმლის ციხესთან) ერთად, გზას უკეტავდა კავკასიონის გადაღმა მყოფ უთვალავ ტომებს (*n. h.* VI, XII, 30).

შესაბამისად, „კავკასიის კარიბჭეს" უდიდესი თავდაცვითი მნიშვნელობა ენიჭებოდა ძველი ცივილიზებული სამყაროს – *ოიკუმენეს* – უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და მას თავისი ეს სასიცოცხლო მნიშვნელობა, არც მომდევნო ეპოქებში დაუკარგავს. ადვილი წარმოსადგენია, რომ კავკასიისათვის გარეშე ძალები თითქმის ყველა ეპოქაში დიდად იქნებოდნენ დაინტერესებულნი დარიალის ზეკარის გეოპოლიტიკური მნიშვნელობით. ამ გარემოებით ჩანს გამოწვეული ახლო აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში გაბატონებულ სახელმწიფოთა მესვეურების მცდელობა თავისი ძალაუფლება გაევრცელებინათ ცენტრალურ ამიერკავკასიაში; ურარტელებიდან დაწყებული ვისი სამხედრო თუ პოლიტიკური აქტიურობის კვალი არ შეინიშნება ამიერკავკასიის შუაგულში – აქემენიდების, ალექსანდრე მაკედონელის ელინისტური იმპერიის მემკვიდრეების, რომაელების, პართელების, სასანიდების, ბიზანტიელების, არაბების, ილხანების, სეფიანების, ოსმალოების, ყაჯარების და სხვ. უღელტეხილთა კონტროლის

საჭიროება, თავისთავად განაპირობებს მათ მახლობლად ამ ფუნქციის შესრულების საჭიროებისათვის სათანადო სიძლიერის მქონე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობას.

ბერძნულ-რომაული, სომხური და ქართული წერილობითი წყაროების მონაცემთა შეჯერება, საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ცენტრალური ამიერკავკასიის ყველაზე ადრეული სახელმწიფოს, იბერიის (ქართლის) სამეფოს აღმოცენება-ჩამოყალიბების გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, სწორედ კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალურ ნაწილში მდებარე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დარიალის კარიბჭის კონტროლის საჭიროება უნდა ყოფილიყო. ხომ ცხადია, რომ ცივილიზებული სამყაროს ყველა დროის მესვეურთათვის, მომთაბარეთათვის გზის გადამკეტი კავკასიის კარიბჭის ეფექტური კონტროლის დიდი საჭიროების გამო, სასურველი იყო შუაგულ ამიერკავკასიაში, იბერიაში, მსგავსი ფუნქციის შესრულებისათვის საკმაო ძალის მქონე სახელმწიფოებრივი ორგანიზმის არსებობა. პლინიუსი აკეთებს მეტად მნიშვნელოვან შენიშვნას, რომ იბერიული ქალაქი ჰარმასტუსი (იგივე ქართლის ძველი დედაქალაქი – არმაზი) „სამყაროს ორ ნაწილად განმყოფი" კავკასიის კარიბჭის (ანუ დარიალის) პირდაპირ მდებარეობდა. ეს გარემოება უნდა მიუთითებდეს ჰარმასტუსის ფუნქციაზე – გადაეკეტა გზა ჩრდილოეთიდან, კავკასიის კარიბჭიდან (ანუ დარიალიდან) შემოსული და თერგისა და არაგვის ხეობების გავლით წამოსული მოთარეშეებისათვის; ამის მსურველთა რიცხვი კი კავკასიონის მთავარი ქედს გადაღმა ურიცხვი იყო. იქ ედოთ ბინა იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე უფრო ბარბაროსულ, დამანგრეველ ძალებს – „კვინტესენციურ გოგსა და მაგოგს".

აღნიშნული გარემოებით ჩანს განპირობებული იბერიის სამეფოს მრავალსაუკუნოვანი ფუნქცია ყოფილიყო ცივილიზებული სამყაროს ფორპოსტი განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ერთ-ერთ ყველაზე უფრო საკვანძო ადგილას. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გეოპოლიტიკური ხასიათის ფაქტორებმა, არა მხოლოდ გამოიწვიეს კლასიკური ხანის ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა, არამედ განსაზღვრეს კიდეც მომდევნო ხანებში მისი ისტორიული განვითარება.

იმდენად არსებითი ხასიათისა უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთიდან, კავკასიის კარიბჭიდან (ანუ დარიალის ზეკარიდან) შემოსული და თერგისა და არაგვის ხეობების გავლითა და ზოგჯერაც არაგვისა და მტკვრის ხერთვისს გამოცდენილი მოთარეშე ბარბაროსებისთვის გზის გადაკეტვის აუცილებლობა, რომ გარდაუვალი გახდებოდა ამ მხარეში ციხე-სიმაგრეთა მძლავრი სისტემის აგება-ჩამოყალიბება, რომელთა შემადგენელი ერთეულების სახელწოდებებიც, ბუნებრივია უფრო მათი არსისა და ფუნქციის გამომხატველი იქნებოდა და არა შორიდან მიგრირებული სხვადასხვა ტომებისა თუ ეთნიკური ჯგუფების სახელწოდებების (მაგ. მუშქი-მოსხი, თუბალი-ტაბალი) ამსახველი.

თავისთავადაც საკითხავია, თუ რამდენად არის უცილობელი, მაგალითად, მცხეთის სახელის ეტიმოლოგიზაცია მესხთა სატომო სახელიდან, თუკი დავუშვებთ, რომ „ძველი მცხეთა" ლოკალიზდებოდა არმაზციხე/მთა ქართლის ადგილას და რომელსაც

მკვეთრად გამოხატული ფუნქცია გააჩნდა: კონტროლის ქვეშ მოექცია სტრატეგიულად უაღრესად მნიშვნელოვანი საკმაოდ ვრცელი არეალი და რომელიც სახელდებული იყო ციხე-სიმაგრისა თუ გალავნის აღმნიშვნელი სიტყვებით, თუმცა კი არაქართულით (არამეულით – karda, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა ხურიტულ – ard-თან იყოს დაკავშირებული), ბერძნულით – ‘Ακρόπολις). საფიქრებელია, რომ ტერმინი „მცხეთა” თავისი პირვანდელი სემანტიური მნიშვნელობით ციხისციხის ანუ დედაციხის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რაც თანხვდება ენათმეცნიერთა შეხედულებას ტოპონიმ „მცხეთის” წარმომავლობის თაობაზე ქართულ-ზანური ერთობის ხანის „ციხის” აღმნიშვნელი სიტყვიდან – *ʒlixe. გავითვალისწინოდ, აგრეთვე, იქვე, არაგვის პირას მდებარე ბებრის/ბელტის ციხის შესაძლო წარმომავლობა ციხის აღმნიშვნელი არამეული სიტყვიდან – birta.

ვინ იცის, იქნებ თბილისის სახელწოდებაც „უფლის-ციხის“ აღმნიშვნელია, მნიშვნელობით „ბატონის, სიუზერენის ციხე“, თუ კი ტიფილისი მიღებულია ჰიპოთეტური „უფლისიდან“. მხედველობაში ვღებულობ, რომ პირველად თბილისი VI საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსის თეოფანე ბიზანტიელის თხზულებაში (Theoph. in *Phot. Bibl. Cod.*, 64) მოიხსენიება როგორც ტიფილის-ი (Τίφιλις), ხოლო დიდოურ (ხუნძურ) ენაზე დასტურდება თუფლისჴ-ს სახით; ვინაიდან უმლაუტში დენტალური ფონემა მერყევია, არ არის გამორიცხული იგი უცხო ენობრივ გარემოში ყოფილიყო დამატებული. ვითვალისწინებ, აგრეთვე იმასაც, რომ უფლისციხე ძველთაგანვე საზღვრულით, კასპის უფლისციხის *(„უფლისციხჱ̆ კასპისა“)* სახით მოხსენიება (*მოქცევაჲ ქართლისაჲ,* 81, 82), რაც სხვა უფლისციხის თუ უფლისციხეების არსებობაზე უნდა მიუნიშნებდეს.

როგორც ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში იბერიის (ქართლის) სამეფოს, ასევე კლასიკური ეპოქის ამავე რეგიონის სხვა ახალი სახელმწიფოების, დასავლეთით – კოლხეთ-ლაზიკის (ეგრისის) და აღმოსავლეთით – ალბანეთის „არსებობის არსი” *(raison d'être)* მნიშვნელოვანწილად ჩანს განპირობებული, მათი გეოგრაფიული მდებარეობით დიდი კავკასიონის მთაგრეხილის სამხრეთით და, შესაბამისად, აღნიშნული სახელმწიფოების როლით ამ მთაგრეხილის სტრატეგიული ფუნქციის მქონე უღელტეხილების კონტროლის საქმეში. როგორც ჩანს, ადრეული ხანებიდანვე არსებული გეოსტრატეგიული ვექტორის იმპულსი დაედო საფუძვლად შემდეგდროინდელი ქართული სახელმწიფოების ხანგრძლივ სწრაფვას, გააერთიანებინათ თავის ხელქვეით შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე – „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე” – არსებული კავკასიონის ყველა ზეკარი.

აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, იბერთა ხელისუფალთ და მათ მოკავშირეებს, არა იმდენად კავკასიაში ჩრდილოეთიდან გადმოსული ბარბაროსებისათვის გზის გადაკეტვა ესაჭიროებოდათ, რამდენადაც მათი საკუთარი სტრატეგიული ინტერესებისათვის დაქვემდებარება; ტაციტუსი მართებულად შენიშნავდა, რომ მრავალ უღელტეხილზე გაბატონობებულ იბერებს შესაძლებლობა ჰქონდათ კასპიის გზით (იგულისხმება დარიალი) კავკასიონზე გადმოეყვანათ ჩრდილოელი მებრძოლები და

წარმატებით გამოეყენებინათ ისინი საკუთარი პოლიტიკური მიზნების შესაბამისად. მსგავსი პერსპექტივის არსებობის შესაძლებლობაც კი უკვე მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენდა იბერთათვის სამხრეთიდან მომხდური მტრის საწინააღმდეგოდ. ზეკარებზე გაბატონებული იბერები პერმანენტულად და დიდი წარმატებით იყენებდნენ თავიანთი ქვეყნის ხელსაყრელ სტრატეგიულ მდებარეობას და ამით აწონასწორებდნენ გარესამყაროს სხვადასხვა მხრიდან მომდინარე ძალთა ზეწოლას. თუმცა ჩრდილოეთიდან ძალთა გადმოყვანა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა, რათა ქვეყნის უსაფრთხოებას ზიანი არ მისცემოდა და არც არასოდეს, თითქმის XIX საუკუნემდე, საქართველოს ხელისუფალთ არ გადაუციათ კავკასიის ზეკარისა და შემოსასვლელი გზების კონტროლის უფლება ჩრდილოეთის მხარისთვის, რაც, თავისთავად ცხადია, საკუთარი ქვეყნისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ტოლფასი იქნებოდა, ვინაიდან სახელმწიფო დაკარგავდა თავის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას.

ქართული სახელმწიფოს კავშირი კავკასიონის ზეკარების გაკონტროლების აუცილებლობასთან მართლაც ქვეყნის მთელი არსებობის მანძილზე შეინიშნება. მისი ხელისუფალნი ქმედითად იყენებდნენ ქვეყნის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით ბოძებულ უპირატესობას; ქვეყნის ამ დანიშნულებით უნდა ყოფილიყო განპირობებული მისი ფაქტობრივად უწყვეტი არსებობა კლასიკური ხანებიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე, რუსეთის მიერ მისი ანექსიის ხანამდე, როდესაც ადრეული ფუნქციის დაკარგვამ ქვეყნის დამოუკიდებელ არსებობას აზრი დაუკარგა და თითქმის ორი საუკუნე იგი აღარ ჩანდა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე.

თუ რომის იმპერიისა და პართიის, ბიზანტიისა და ირანის, ოსმალეთისა და სპარსეთის ურთიერთბრძოლისას კავკასიონის ზეკარებზე ადგილობრივი ამიერკავკასიელი მოსახლობის კონტროლი ძირითადად მისაღები იყო ორივე დაპირისპირებული მხარისათვის, სრულიად სხვა მდგომარეობა იქმნება რუსეთის იმპერიის კავკასიაში ექსპანსიის დროს. ჩრდილოეთიდან მომდგარ რუსეთს, სამხრეთით მდებარე ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სულაც არ ესაჭიროებოდა კავკასიონის გადასასვლელების დამცველი ძალა. რუსეთის სულ უფრო მზარდი გეოსტრატეგიული ინტერესები კავკასიონის მთავარი ქედის გადალახვას ისახავდნენ მიზნად; ამ ქვეყანას ესაჭიროებოდა კავკასიონის ზეკარებზე არა ალექსანდრე მაკედონისეული „რკინის კარებისა“ თუ „ტიხრების“ აგება-მოწყობა, არამედ მათი „მოშლა“ და „გაუქმება“. ცხადია ეს საქართველოს საკუთარი ისტორიული ფუნქციის, „არსებობის არსის“, დაკარგვას მოასწავებდა. რუსეთისათვის დაუშვებელი იყო კავკასიონის ქედის გადაღმა დამოუკიდებელი და, მით უფრო, ძლიერი სახელწიფოს არსებობა, თუნდაც იგი მისი ერთმორწმუნე და მოკავშირე ყოფილიყო.

შავ და კასპიის ზღვებზე ბატონობა რუსეთის „სასიცოცხლო” ინტერესთა სფეროს განეკუთვნება, ამიტომ ამიერკავკასიის დაკავება ამ ქვეყნის უპირველეს სახელმწიფოებრივ საჭიროებას წარმოადგენს. კავკასიის ყელიდან რუსეთისათვის ადვილად მისაღწევი ხდება მისთვის სასურველი ნებისმიერი რეგიონი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო და შუა აღმოსავლეთში: კავკასია იყო ის საყრდენი რუსეთისთვის, საიდანაც მის სამხედრო

შენაერთებს შეეძლოთ დასავლეთის მიმართულებით, ანატოლიის გავლით, ხმელთაშუაზღვისპირეთში, სამხრეთის მიმართულებით, სპარსეთის გავლით, ინდოეთის ოკეანის სანაპიროებზე, ხოლო აღმოსავლეთის მიმართულებით, კასპიის ზღვის გადალახვით, შუაგულ აზიაში შეეღწიათ.

საქართველოს დღევანდელი რთული პოლიტიკური მდგომარეობა, გარეშე, მტრული ძალის მიერ მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მნიშვნელოვანწილად, ჩვენი ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გაბათილების სურვილით უნდა იყოს განპირობებული. ამ მიზნით ჩანს ჩამოყალიბებული კავკასიონის ქედის გადმოღმა ე.წ. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები – აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი", სინამდვილეში კი დამპყრობელი ძალის მიერ სათავისოდ მოწყობილი პლაცდარმები, რომელთაც არა მხოლოდ ენერგომატარებლებისა და სხვა ტვირთის გადაზიდვების და საზოგადოდ დასავლეთ-აღმოსავლეთის კავშირთურთიერთობებისა და კონტაქტების ფუნქციონირებისათვის საფრთხის შექმნა ევალებათ, არამედ კავკასიონის მთავარი ქედის გაყოლებაზე იმ საზღვრის აღდგენისთვის ხელის შეშლა, რომელიც ძველთაგანვე ცივილიზებულ სამყაროს მომთაბარე ბარბაროსთა შემოსევებისგან იცავდა. აღნიშნული გარემოება, ჩვენს ქვეყანას მისი ოდინდელი „არსებობის არსის", ანუ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული ძირითადი სახელმწიფოებრივი ფუნქციის, დღეს ისევ ხელახლა წარმოქმნილი განახლების შესაძლებლობას დააკარგვინებდა, დღეს, როდესაც სულ უფრო და უფრო ღრმავდება ახალი „რღვევის ხაზები" დემოკრატიულ და არადემოკრატიულ სამყაროთა შორის.

23.06.2021

Giorgi Kavtaradze. ***The "Caucasian Gate" – a determining factor for the emergence and existence of the state system in the Middle Transcaucasus.***